დანართი №1

2014 წლის 31 მარტს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ კ.ნ. №03–14 (CMR 140078390) ხელშეკრულებაზე

თბილისი 14 07 2014წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის მოადგილის **გივი ჩოჩიას** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ **და შპს საპროექტო – საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“**, მისი დირექტორის **ტალი ტალიაშვილის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2014 წლის 08 ივლისის №3937-2 მოხსენებითი ბარათისა და მასზე თანდართული წერილის, ასევე 2014 წლის 11 ივლისის №4032–2 სამსახურებრივი ბარათისა და ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება ქ. ქუთაისის ნიკეას ქუჩისა და ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელი გზის რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის სამუშაოების საპროექტო მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 31 მარტს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №03–14 ხელშეკრულებაში და მომსახურების მიწოდების ვადა 2014 წლის 20 ივლისის ნაცვლად გაგრძელდეს 2014 წლის 29სექტემბრის ჩათვლით.

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2014 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით.

3. წინამდებარე დანართის პრეამბულაში აღნიშნულ მოხსენებით და სამსახურებრივ ბარათებში მითითებული საფუძვლიდან გამომდინარე, ასევე შევიდეს ცვლილება ტექნიკურ დავალებაში და საბოლოო ანგარიშის სამუშაო ვერსიის წარმოდგენის ვადა 2014 წლის 20 ივნისის ნაცვლად გაგრძელდეს 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

4. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. N03–14 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების, ხელშეკრულების მოქმედების და საბოლოო ანგარიშის სამუშაო ვერსიის წარმოდგენის ვადები.

5. მიმწოდებელი ვალდებულია, დანართის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, განაახლოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის არსებული უპირობო საბანკო გარანტია. განახლებული უპირობო საბანკო გარანტია უნდა მოქმედებდეს 2014 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს არსებული უპირობო საბანკო გარანტია სრულად და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

7. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

8. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გივი ჩოჩია	მიმწოდებელი შპს საპროექტო – საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“ დირექტორი ტალი ტალიაშვილი